

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----3

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----6

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----7-16

**შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC“ ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნები	2020	2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	55867	90676
სავაჭრო მოთხოვნები	2	157014	149813
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		90484	83870
მარაგები		108025	65405
- მზა პროდუქცია			
- სხვა		108025	65405
სხვა მიმდინარე აქტივები		2000	4525
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	1193304	1107096
სულ აქტივები		1606694	1501385
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	4	111548	121780
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			36928
საგადასახადო ვალდებულებები		65486	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	5	57585	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5	601715	558586
სულ ვალდებულებები		836334	717294
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		116,000	116000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		654360	668091
სულ საკუთარი კაპიტალი		770360	784091
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1606694	1501385
დირექტორი			
მთ. ბუღალტერი			

შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC საქმიანობის შედეგები
2020 წლის 31 დეკემბრისათვის

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	2966916	3680909
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	2966916	3680909
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-265739	-223530
საწყისი მარაგები	0	69788
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2701177	3457379
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23469	16746
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1975719	-2183566
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-71276	-58561
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-24072	-31453
იჯარის ხარჯი	-152830	-179400
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-366928	-903539
სულ საოპერაციო ხარჯები	-2567356	-3339773
საოპერაციო მოგება	133821	117606
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	65405
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-147552	-29018
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-13731	153993
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-12229
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-13731	141764
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-13731	141764
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	784091	419930
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-81533
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	303930
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	770360	784091

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

2020 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება			(ლარში)
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	116,000	668,091	784,091
წმინდა მოგება	-	-13731	770,360
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-13731	770,360
გაცემული დივიდენდი	-	0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	116,000	654,360	770,360
დირექტორი			
მთ. ბუღალტერი			

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია 2007 13 მარტიდან დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202377178. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N42; კლინიკა ფუნქციონირებს ქ. თბილისი პეკინის ქ. #5-ში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები, კომპანია დღე-ის გადამხდელს არ წარმოადგენს.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- 75.5% - პროფესორი ივანე კუზანოვი (პ/ნ 01030003950);
- 24.5% - ალექსანდრე კუზანოვი (პ/ნ 01030003391).

კომპანიის დირექტორია ავთანდილ ტულუში.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 116 000 ლარს.

2020 წლის 31 დეკემბრისა კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 57 ადამიანი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2020 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2020 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2020 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად,
ხორციელდება ჩვეულებრივისაკრედიტოპირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტ
იარერიცხება. იმ შემთხვევაში,
როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს,
მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურის პროცენტო განაკვეთით.
თითქმის ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა
მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური
მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების
არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან
ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა
და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს
შემძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და
დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა
პირდაპირი ხარჯები.
მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება
ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.
თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან
დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე
როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ
დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული
ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება
ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
მიწა	უვადო
სამედიცინო აპარატურა და სამედიცინო დამხმარე ინვენტარი	8
ოფისის აღჭურვილობა	5
სამედიცინო ინსტრუმენტი და დამხმარე სხვა ინვენტარი	4
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6
არამატერიალური აქტივები	0
სატრანსპორტოსაშუალებები	7

სავაჭროვალდებულებები

სავაჭროვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებული ვალდებულებებს და პროცენტიარერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახულის სავაჭროვალდებულებები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში,

საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკუროსსხვაობითწარმოქმნილიშემოსულობაანზარალიაისახებასხვაშემოსავალშიანსხვანარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილი იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსურიანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე.

აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

შენიშვნა 1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
ლარში		
ფული სალაროში	17778	8207
ფული საბანკო ანგარიშებზე	38089	82469
სულ	55867	90676
ჯამი		

შენიშვნა 2-
სავაჭრო
მოთხოვნები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
ლარში		
	157014	149813
სულ	157014	149813
ჯამი		

შენიშვნა 3- ინფორმაცია																		
შპს „კუზანოვისკლინიკა Kuzanov clinic LLC" ძირითადი საშუალების თაობაზე																		
ინფორმაცი ა ძირითად საშუალება ზე	პერიოდის საწყისი მონაცემები				პერიოდში განხორციელებული ცვლილებები										პერიოდის ბოლოს მონაცემები			
					შემოსავალი		გასავალი						ცვითა					
შესყიდვა	ჯალი	რეალიზაცია	სხვა															
დასახელება	რაოდენობა	დირექტორის	აკუმულირებული	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტორის	აკუმულირებული	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტორის	აკუმულირებული	ნარჩენი	გაყიდვის	მიმდინარე	რაოდენობა	დირექტორის	აკუმულირებული	ნარჩენი
მიწა		633603	0	633603			0								633603.3	0	633603	
სამედიცინო აპარატურა და სამედიცინო დამხმარე ობიექტების აღჭურვილობა		269794	120869	148925			65042							20613	334836.3	141482	193354	
სამედიცინო ინსტრუმენტი და დამხმარე სხვა ინვენტარი		178354	45373	132981			27442							28195	205796	73567.44	132229	
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა		179675	89514	90161										17521	179675	107035.3	72639.7	
არამატერიალური აქტივები		75000	0	75000											75000	0	75000	
სატრანსპორტო საშუალებები		16785	1598.6	15186										1599	16785	3197.16	13587.8	
შენობა ნაგებობა		0					65000	0						0	65000	0	65000	
ჯამური მონაცემი	1376702	269606.3	1107096	0	157484	0	0	0	0	0	0	0	0	71276	0	1534186	340882	1193304

შენიშვნა 4-
სავალდებულებები

ლარში

სულ
ჯამი

2020 წლის 31
დეკემბერი

111548

111548

2020
წლის 1
იანვარი

121780

121780

შენიშვნა 5 -სესხები ფინანსური ინსტრუმენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
ლარში		
	601715	558586
მიმდინარე სესხები	57585	0
ჯამი	659300	558586

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი